

შპს ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო ნიუ ლაიფ ჯორჯია

ს/კ 404862546

საადრინცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

შპს ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო ნიუ ლაიფ ჯორჯია (ს/კ 404862546)

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31-12-22	31-12-21	31-12-20
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,685,120	565,086	1,147,675
სავაჭრო მოთხოვნები	3,150	3,150	3,150
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	153	153	186,867
მარაგები	-	-	-
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	519,649	417,639	79,551
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	307	341	379
ძირითადი საშუალებები	177,916	150,906	158,353
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	4,386,295	1,137,275	1,914,063

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	1,030,804	454,024	314,606
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	7,264
საგადასახადო ვალდებულებები	-	35,294	40,692
გამოუმუშავებელი შემოსავალი	6,011,881	1,864,714	1,380,137
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	7,042,685	2,354,032	1,742,699
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	100	100	100
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(2,656,490)	(1,216,857)	171,264
გადაფასების რეზერვი	-	-	-
სხვა რეზერვები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	(2,656,390)	(1,216,757)	171,364
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,386,295	1,137,275	1,914,063

შპს ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო ნიუ ლაიფ ჯორჯია (ს/კ 404862546)

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	31-12-22	31-12-21
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	1,328,846	637,269
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	1,328,846	627,040
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	10,229
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-	-
თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1,328,846	637,270

სხვა შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	2,135,674	1,643,811
ცვეთა და ამორტიზაცია	21,465	20,318
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	-	-
ოჯარის ხარჯი	127,200	127,200
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	130,570	191,188
სულ საოპერაციო ხარჯები	2,414,909	1,982,517

საოპერაციო მოგება	(1,086,163)	(1,345,248)
-------------------	-------------	-------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (გაუფასურება)	-	-
მარაგები (გაუფასურება)	-	-

სხვა არაფინანსური აქტივები (გაუფასურება)	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-	-
მიღებული დივიდენდები		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ზარჯი)	-353,570	-67,753
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1,439,633	-1,413,001
მოგების გადასახადი		-
მოგება/(ზარალი)	(1,439,633)	(1,413,001)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(1,439,633)	(1,413,001)

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(1,216,757)	171,364
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	24,880
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(2,656,390)	(1,216,756)

შპს ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო ნიუ ლაიფ ჯორჯია

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	31-12-22	31-12-21
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	3,120,034	(582,589)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	3,120,034	(582,589)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	565,086	1,147,675
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	3,685,120	565,086

1. ზოგადი ინფორმაცია

„ჯანდაცვის საერთაშორისო სააგენტო ნიუ ლაიფ ჯორჯია“ ს/კ 404862546 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 19/05/2010-ში. იურიდიული მისამართია ქ თბილისის საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის გამზირი 34, ბ63, ფაქტიური მისამართია - ქ თბილისის საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქ 11ბ.

კომპანიის საქმიანობაა მომსახურების სფერო, კერძოდ კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უშვილო წყვილებისთვის (პოტენციური მშობლებისთვის) დონორის და სუროგატი დედების მოძებნა, შერჩევა და მათი მეშვეობით პოტენციური მშობლების დახმარება, კანონის სრული დაცვით შეძლონ იყოლიონ შვილი. სააგენტო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებს რა პოტენციური მშობლების სახელით და მათი დავალებით უზრუნველყოფს დონორისა და სუროგატი დედისთვის საჭირო გამოკვლევების, სამედიცინო მომსახურების, ტრანსპორტირების, მედიკამენტების და ხელშეკრულებაში სხვა გაწერილი საქონლის და მომსახურების ანაზღაურებას, პოტენციური მშობლებისაგან ამ მიზნებისათვის მიღებული თანხებიდან. პოტენციური მშობლებისაგან ჩამორიცხული თანხებიდან უდიდესი ნაწილი იხარჯება მათი დავალებით. სააგენტოს შემოსავალია მომსახურების საკომისიო.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტა-ლარში.

3. ამონაგების აღიარება

გაწეული მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება ჩატარებული პროგრამების მიხედვით. კომპანია პროგრამის ჩატარების პირველივე ეტაპზე აღიარებს მის წილ საკომისიოს დასაბეგრ შემოსავლად.

	12/31/2022	12/31/2021
მომსახურების გაწევიდან	1,328,846	627,040

4. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების აღგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ძირითად საშუალებებს ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება.

ცვეთის გამოითვლება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა -7წელი

ავეჯი და ინვენტარი -7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები -10 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა- 10 წელი

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება,

როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს შეძენილი ბუღალტრული პროგრამა, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც შეადგენს 10 წელს.

ძირითადი საშუალებები

	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
01 იანვარი 2022	80,908	51,604	18,394	150,906
შემოსვლა	44,070	-	4,371	48,441
პერიოდის ცვეთა	14,286	5,160	1,984	21,431
31 დეკემბერი 2022	110,691	46,444	20,781	177,916
წმინდა საბალანსო ღირებულება				177,916

ცვეთის მეთოდი: წრფივი

არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	სულ
01 იანვარი 2022	341	341
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
პერიოდის ცვეთა	34	34
31 დეკემბერი 2022	307	307
წმინდა საბალანსო ღირებულება		307

ცვეთის მეთოდი: წრფივი

6. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარით აღებული საოფისე ფართების საიჯარო გადასახდელები ჩართულია მოგება/ზარალში(აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად), შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

	12/31/2022	12/31/2021
იჯარის ხარჯი	127,200	127,200

7. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიას ქვეიჯარით ჰქონდა ფართი გაცემული (შემდგომი გადახდის პირობით), რითაც არის წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება.

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები	3,150	3,150

8. გადახდილი ავანსები

გადახდილ ავანსებში ნაჩვენებია მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი თანხები, რომელთა შესაბამისი მომსახურების გაწევა მოხდა შემდგომ პერიოდებში. გადახდილ ავანსის თანხებს პროცენტი არ ერიცხება.

	12/31/2022	12/31/2021
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	153	153

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,030,804	454,024

10. გამოუმუშავებელი შემოსავლები

გამოუმუშავებელ შემოსავლებში ანუ ავანსად მიღებულ შემოსავლებში იგულისხმება პაციენტების მიერ გადმორიცხული თანხები, რომელთა ათვისება/გახარჯვა ჯერ არ დაწყებულა, მომსახურება ჯერ არ გაწეულა.

	12/31/2022	12/31/2021
გამოუმუშავებელი შემოსავალი	6,011,881	1,864,714

11. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებებში ასახულია ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანება/ზედმეტობის თანხები.

სხვა მიმდინარე აქტივებში ნაჩვენებია ბიუჯეტში არსებული ზედმეტობა.

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)

ამ მუხლში ასახულია კურსთა შორის სხვაობებით გამოწვეული შედეგი.

	12/31/2022	12/31/2021
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-353,570	- 67,753

13. კომპანიაში დივიდენდი არ განაწილებულა .

14. კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულებები.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი



ეკატერინე იაშვილი

